ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №93

საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-10/1 მუხლის 3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 იანვარი N7 განკარგულების საფუძველზე (SMP220004046)

დაფინანსების წყარო 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი **08 თებერვალი 2023 წელი**

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: ა.ა GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **მაია ომიაძის** სახით და **შპს კოლაბსფეისი** (მის: ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ნინო რამიშვილის I ჩიხი, N 7, კომერციული ფართი; ს.კ 405552085; საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, ბ.კ TBCBGE22, ა.ნ GE97TB7469136080100016; ტელ: 577 52 32 55) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ელენე ბერეკაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ტრენინგის „სოციალური მედიის მართვა“ უზრუნველყოფის მიზნით სატრენინგო მომსახურების შესყიდვა (CPV-80500000)

3. ხელშეკრულების ღირებულება და ვადა

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **27 499.50** (ოცდაშვიდი ათას ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 50 თეთრი) **ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯსა.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევისა. დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4 მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა: **2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.**

3.5 მომსახურების გაწევის ადგილია: თბილისი, მცხეთა, გორი, კასპი, ქუთაისი, წყალტუბო, ბაღდათი, ოზურგეთი, ბათუმი, ამბროლაური, თელავი, ყვარელი, რუსთავი, თეთრიწყარო.

4. მხარეთა მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი ნატო მებურიშვილი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს ხარვეზი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარვეზის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების ანგარიშის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი ნატო მებურიშვილი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით

9.2 იმ შემთხვევაში, .თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.4 და 4.1 პუნქტების „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (თითოეული შემთხვევისთვის) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულებების 5%-ის ოდენობით;

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ასეთი დღისათვის შეუსრულებელი მომსახურების ან წუნდებით შესრულებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტის სახით ქართულ ენაზე, როგორც შემსყიდველისათვის, ასევე მიმწოდებლისთვის.

17 .მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
საიდენტიფიკაციო კოდი: 204578206
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ.კ TRESGE22 ა.ა. GE24NB0330100200165022
ტელეფონი: 2436999

მიმწოდებელი
შპს კოლაბსფეისი
საიდენტიფიკაციო კოდი 405552085
მისამართი: ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ნინო რამიშვილის I ჩიხი, N 7, კომერციული ფართი
საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი, ბ.კ TBCBGE22, ა.ა GE97TB7469136080100016
ტელეფონი: 577 52 32 55

ხელმძღვანელი
მაია ომიაძე

დირექტორი
ელენე ბერეკაშვილი

Elene Berekashvili 01005027856
Digitally signed by Elene Berekashvili
Date: 2023.02.15 14:08:42

1. **ფასების ცხრილი**

N	**მომსახურების დასახელება**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**ჯამი**
1	ტრენინგის „სოციალური მედიის მართვა“ უზრუნველყოფის მიზნით სატრენინგო მომსახურების შესყიდვა	210 მსმენელი	130.95 ლარი	27 499.50 ლარი
			ჯამი:	**27 499.50 ლარი**

2.მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ტრენინგის „სოციალური მედიის მართვა“ ჩატარება შემდეგი ტექნიკური დავალების შესაბამისად:

ტრენინგის ძირითადი თემატიკები:

1. სოციალური მედია პლატფორმების გაცნობა (თითოეულის განმასხვავებელი ნიშნები, ათვისების და გამოყენების შესაძლებლობები) Facebook, Instagram, Youtube,TikTok, Google,Tripadvisor, Linkedin Pinterest,Whatsapp,Creators (Influencers);
2. როგორ მოვირგოთ სოციალური მედია სწორად, ჩვენი ბიზნესიდან გამომდინარე, პროფილის სწორად აწყობა და ოპტიმიზაცია (Facebook & Google);
3. კონტენტის შექმნა | ქოფირაითინგი | მომხმარებელთან კომუნიკაცია, კონტენტის ფორმების შერჩევა;
4. კონტენტის შექმნა /Canva-ს გამოყენება, პლატფორმების სპეციფიკაციები;
5. რეკლამის ტიპები Meta Business Manager/Ads Manager Facebook-სა და Instagram-ზე , როგორ შევარჩიოთ და გამოვიყენოთ სხვადასხვა კრეატორები (ინფლუენსერები) ბიზენისთვის;
6. შედეგების ანალიტიკა , კონკურენტების მონიტორინგი;

სატრენინგო მასალა უნდა მომზადდეს პრეზენტაციის სახით და თემატიკა უნდა ასახავდეს როგორც თეორიულ ინფორმაციას, ასევე ვიზუალურ მასალას.

ტრენინგი ქვეყნის მასშტაბით ტურიზმის სფეროს წარმომადგნელებისთვის, ტრენინგი მოიცავს რეგიონების მასშტაბით შემდეგ ადგილებს: ადგილებს:თბილისი, მცხეთა,გორი, კასპი, ქუთაისი, წყალტუბო, ბაღდათი, ოზურგეთი, ბათუმი, ამბროლაური, თელავი, ყვარელი, რუსთავი, თეთრიწყარო.
დამწრეთა რაოდენობა: ჯგუფში 15 მსმენელი (ჯამში 210 ადამიანი),
ტრენინგის ხანგრძლივობა: 6 სთ ერთი დღე,

მომსახურების მომწოდებელი ვალდებულია:

1. ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული სიის საფუძველზე უზრუნველყოს ტრენინგის მონაწილეთა დასწრების მობილიზება;
2. ადმინისტრაციას წარუდგინოს ტრენინგის გრაფიკი, მონაწილეთა ტრენინგზე დასწრების აღრიცხვა;
3. სასაწავლო კურსის ჩასატარებლად მოახდინოს შესაბამისი ფართით უზრუნველყოფა (სასტუმროს საკონფერენციო დარბაზი - ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებით);
4. სასწავლო კურსის მსვლელობისას მოახდინოს მონაწილეთა საკანცელარიო მასალით უზრუნველყოფა (თითოეულ მონაწილეს მაგიდაზე უნდა ედოს ინდივიდუალური ფურცელი და კალამი);
5. მოახდინოს საკონფერენციო დარბაზის ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა პროექტორი და ეკრანი (ეკრანი არ უნდა იყოს დაფა), ეკრანი ისე უნდა იყოს დამონტაჟებული საკონფერენციო დარბაზში რომ მარტივად იყოს აღსაქმელი როგორც მონაწილეებისთვის ასევე ტრენერისათვის
6. ტრენინგის მსვლელობის დროს მოახდინოს მონაწილეების სასმელი წყლით უზრუნველყოფა (სასმელი წყალი უნდა იყოს ბოთლის, საკონფერენციო მაგიდაზე თითოეულ მონაწილეს უნდა ედოს ინდივიდუალური წყლის ბოთლი და წყლის მინის გამჭირვალე ჭიქა);
7. ტრენინგის მსვლელობისას მოახდინოს მონაწილეთა ყავის შესვენებით უზრუნველყოფა (ყავის შესვენებაზე გამოყენებულ უნდა იქნას: ინდივიდუალური მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭელი თეფში, კოვზი,ჭიქა და მრავალჯერადი (თეთრი ფერის ლამბაქი, საშაქრე, ყავისა და ჩაის ჩასაყრელი ჭურჭელი ,თერმო ჩაიდანი (არა ელექტრო ჩაიდანი) თეთრი ნაჭრის სუფრა).
8. ორი შესვენება -1 დილის ყავის შესვენება ყავა, ჩაი,დაჭრილი ლიმონი, რძე, ორცხობილა, კრუასანი, ხილის წვენი;

შესვენებაზე სადილი ყავა, ჩაი,დაჭრილი ლიმონი, რძე ,ხაჭაპური, ლობიანი, ორი სახის სენდვიჩი,ერთი სახეობის ბოსტნეულის სალათი,ხილის წვენი;

9. ტრენერის ჩაცმულობა ტრენინგის ჩატარების დროს უნდა იყოს ოფიციალური, საქმიანი (პერანგი,შარვალი ან ქვედაბოლო);

10. უზრუნველყოს ტრენინგის დასრულებისას კურსდამთავრებულთა ზეპირი ტესტირება და შესაბამისი

11. სერტიფიკატების დამზადება (ზომა, მასალა და დიზაინი ადმინისტრაციასთან შეთანხმებით);

12. პროექტის მიმდინარეობის პროცესში ყველა ლოკაციაზე აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს მოგებული კომპანიიდან პროექტის კოორდინატორი, რომელიც უშუალო პასუხისმგებელი იქნება ტრენინგის ჩატარების პროცესზე.

ზემოთჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელიმეს არაზედმიწევნით განხორციელების შემთხვევაში ტრენინგი ადმინისტრაციის მხრიდან ჩაითვლება არა ჯეროვნად შესრულებული.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ სატრენინგო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ **2023 წლის 08 თებერვლის N93** ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელი	Maia Omiadze Digitally signed by Maia Omiadze Date: 2023.02.08	მაია ომიაძე
ინსპექტირების და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი		ქეთევან ზურაშვილი
ბაზრის კვლევის განმახორციელებელი პირი		მარიამ შანიძე